საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-979

23/10/2020

ქ. თბილისი

„შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „თათლის“ მიერ წარმოდგენილ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ აღთაკლიაში, ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, რომელზეც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, ბრძანების პირველ და მე-4 პუნქტებში მითითებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (№8; 22.02.2018), რაც საჭიროებს შესწორებას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 59-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის №2-117 ბრძანების:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „თათლის“ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შპს „თათლიმ“ საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით:“

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თათლის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თათლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი